სამი მეჩეთის ისტორია

მუსლიმების ხმები დემოკრატიული სახელმწიფოსათვის

სოფო ზვიადაძე

ნოემბერი, 2017

შესავალი

დღეს საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი რელიგია ქრისტიანობის შემდეგ ისლამია (9.9%). ისლამის აღმსარებლობა და მუსლიმური კულტურა მრავალფეროვანია საქართველოში: განსხვავებული ისლამური მიმდინარეობები, ისლამის მიმდევარი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები. ამ მრავალფეროვნების მიზეზები შორეულ წარსულამდე მიდის. საქართველოს ისტორია მკვეთრად გადაჯაჭვული იყო ისლამურ ქვეყნებთან. ესაა მრავალსაუკუნოვანი თავდაცვითი ბრძოლების და ასევე მშვიდობიანობის დროს კულტურათა ურთიერთობების ისტორია.[1] დღეს მუსლიმი ქართველები ძირითადად ცხოვრობენ აჭარაში. ისინი სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. მეორე რეგიონი, სადაც მუსლიმები კომპაქტურად სახლობენ არის ქვემო ქართლი. აქ მცხოვრები აზერბაიჯანელები[2] შიიტური ისლამის მიმდევრები არიან. გარდა ამისა, მუსლიმები ცხოვრობენ თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე სოფელში. ისინი წარმოადგენენ აზერბაიჯანელებს, ქისტებს (ჩეჩნები) და ავარებს (ლეკები). თითოეულ ამ მხარეში ისლამის გავრცელებას განსხვავებული ისტორიული გზა და კულტურული თავისებურება ჰქონდა. შესაბამისად, სხვადასხვა ისლამური თემი თანამედროვე საქართველოში განსახვებული პრობლემების წინაშე დგას.

დიდი ხნის განმავლობაში მუსლიმი თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ნაკლებად ხვდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკის ან მედიის ყურადღების ცენტრში. საქმე ეხება რელიგიის თავისუფლების დაცვას, ინტეგრაციის პრობლემატიკას და ა.შ. ბოლო წლებში ისლამის თემის აქტუალიზაცია რამდენიმე მოვლენას უკავშირდება: ბათუმში ახალი

მეჩეთის აშენების გამო გამწვავებული საზოგადოებრივი დებატები, სოფელ მოხეში ყოფილი მეჩეთის გამო დავა ქრისტიან და მუსლიმ თანასოფლელებს შორის, ნიგვზიანში, სამთაწყაროში და წინწყაროში მუსლიმებისთვის პარასკევის ლოცვის შესრულებაში ხელის შეშლა. გარდა ამისა, 2014 წლიდან საერთაშორისო პოლიტიკაში პოლიტიზირებული ისლამისა და რადიკალიზმის საკითხი საქართველოსაც შეეხო. დაეშ-ის[3] აღზევების ფონზე საქართველო საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებისა და მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა: გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაეშ-ის რიგებში პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე იბრძოდა, მათ შორის თარხან ბათირაშვილი, ცნობილი როგორც ომარ ალ-შიშანი, ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ დაჯგუფების ხელმძღვანელი. ამ მოვლენამ პანკისის ხეობა მედიის ყურადღების ცენტრში მოაქცია. პანკისში მცხოვრები ქისტები საქართველოში მოსახლე ეთნიკური უმცირესობებიდან ყველაზე ინტეგრირებულ ეთნოსად ითვლება.[4] ქისტები თავს მუსლიმებად თვლიან. მათ შესახებ დღესდღეობით საზოგადოების დიდმა ნაწილმა ბევრი არაფერი იცის. ხეობის ირგვლივ არსებული ცოდნა მედიის მიერ გაშუქებული ცხელი პოლიტიკური მოვლენებისაგან „დარჩენილი“ წარმოდგენებია. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, დღეს პანკისში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივი თემი აქტიურად ეხმიანება, მედიით ვრცელდება სალაფიტური მეჩეთის იმამის შეხედულებები ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ. ქისტები თავად ცდილობენ უპასუხონ მედიით გავრცელებულ არასწორ ინფორმაციას თუ რომელიმე ხეობისთვის პრობლემურ საკითხს. იგივე ტენდენციაა აჭარაში, სამცხეში, როდესაც მუსლიმი თემის პრობლემატიკას ეხმიანებიან არამხოლოდ უფლებადამცველები, არამედ თავად მუსლიმი ლიდერები.

წინამდებარე სტატიაში სამი მეჩეთის ისტორიის ირგვლივ განვითარებული მოვლენების მიხედვით განხილული იქნება საქართველოში მუსლიმი თემის პრობლემატიკა, ადგილობრივი მუსლიმი ლიდერების მიმართება სახელმწიფოს რელიგიის პოლიტიკის, რელიგიის თავისუფლების, რელიგიური რადიკალიზმის და ადამიანის უფლებების მიმართ.

მოხეს მეჩეთი - სახელმწიფოს არანეიტრალური შუამავლობა

2014 წელს რელიგიის თავისუფლების დაცვის პრობლემატიკაში ადიგენის რაიონის სოფელ მოხეს მეჩეთის ირგვლივ განვითარებული მოვლენები მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. აქ ჩანს მუსლიმი თემის, სახელმწიფოს პოლიტიკის და საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის როლი დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში. მოხეს მეჩეთის ისტორია მეცნიერულად შესწავლილი არ არის. არსებული წყაროების მიხედვით სოფელში მეჩეთი 1944 წლის მუსლიმი მესხების გადასახლებამდე ცოტა ხნით ადრე აშენდა.[5] საბჭოთა კავშირის დროს მეჩეთები, ისევე როგორც სხვა რელიგიური-საკულტო ნაგებობები, ან დაინგრა ან გადაკეთებულ იქნა საერო დანიშნულებისთვის. ეკლესიები და მეჩეთები ხშირად გამოიყენებოდა სოფლის კლუბებად, საწყობებად და ა.შ. დამოუკიდებლობის შემდეგ რელიგიურობის აღმავლობა დაიწყო როგორც ქრისტიან, ასევე მუსლიმ ქართველებშიც. რელიგიურობის აღმავლობასთან გაიზარდა დომინანტური ინსტიტუციური რელიგიის (საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია) პრივილეგიები და სახელმწიფოსთან „სიახლოვე“. მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსი გამყარდა 2002 წლის საკონსტიტუციო ხელშეკრულებით. პრივილეგირებული სტატუსი აისახა საკულტო ნაგებობების

დაბრუნების უფრო გამარტივებულ პროცესში, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების საკულტო ნაგებობების მესაკუთრის განსაზღვრაში. ეს უკანასკენლი პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სახელმწიფოს მხრიდან უპირატესობის უპირობო აღიარებით ან ამ უკანასკნელის უშუალო ჩარევით. ამის შედეგად, 90-იან წლებში რიგი სადავო ნაგებობები (ეკლესიები) სმე-სა და სომხურ სამოციქულო ეკლესიას შორის, სმე-სა და საქართველოში კათოლიკურ ეკლესიას შორის, ავტომატურად გამოცხადდა მართლმადიდებლურ საკულტო ნაგებობებად. მეცნიერული კვლევა-ძიების, მოლაპარაკების გარეშე განისაზღვარ ეკლესიიის მესაკუთრე და ამ ეკლესიებშ დაიწყო მართლმადიდებლური წესით წირვა-ლოცვა. ამ გამოცდილებით კიდევ უფრო გაძნელებულია ასეთი სადავო ნაგებობების მესაკუთრის დადგენაზე დიალოგის დაწყება. ამას თან ერთვის ისიც, რომ ამ დიალოგის დაწყების სურვილს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია არ გამოხატავს. რაც შეეხება მეჩეთის მესაკუთრეობის საკითხს, ის შედარებით უფრო ახალი და „უცხოა“ რელიგიური ნაგებობების მესაკუთერობის ზემოთ აღნიშნულ პრობლემატიკაში.

საბჭოთა პერიოდში მოხეს მეჩეთში, ისევე როგორც ბევრ სხვა საკულტო ნაგებობაში, პერიოდულად განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, კლუბი და საწყობი. მოხეს მეჩეთი 2007 წლიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება.[6] 90-იანი წლებიდან მოყოლებული მუსლიმმა თემმა ყოფილი მეჩეთის შენობის კონსერვაციის ან რესტავრაციის თხოვნით რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლებას, თუმცა მათი თხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ. ბოლო წლებში თვითმმართველობა რამდენჯერმე დაპირდა მუსლიმებს ამ მეჩეთის გადაცემას. ხოლო 2014 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მეჩეთის შენობის კულტურის ცენტრად გადაკეთებაზე.[7] ამას მოჰყვა

დაპირისპირება. ადგილობრივ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. ისინი ვერ შეთანხმდნენ სადავო ნაგებობის წარმომავლობაზე. მუსლიმებისთვის ნაგებობა ისტორიულად მეჩეთია, ქრისტიანი მრევლის აზრით, მეჩეთი ეკლესიის ქვებით აშენდა და დღეს მისი მეჩეთად რეკონსტრუქცია და ფუნქციონირება მიუღებელია. როდესაც მეჩეთს მშენებლობის დაწყების მიზნით სახურავი გადახადეს, ამან მუსლიმებში აღშფოთება გამოიწვია და ამ ქმედებას ხელი შეუშალეს. ყოველივე ამას სოფელში ორ რელიგიურ თემს შორის დაპირისპირება მოჰყვა.[8]

2014 წელს რელიგიის საქმეთა სააგენტოსთან შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა სადავო შენობის ისტორიული წარმომავლობა და რელიგიური კუთვნილება. 2 წლის განმავლობაში კომისიას ეფექტური გადაწყვეტილება არ მიუღია. 2016 წლის ოქტომბერში პროტესტის ნიშნად სოფელ მოხეში მუსლიმებმა სადავო შენობაში ილოცეს. 2016 წლის 14 ოქტომბერს პოლიციამ მათ შენობის შესასვლელი აუჭედა. დღეს მუსლიმები მეჩეთის წინ აღასრულებენ პარასკევის ლოცვას. 2017 წლის 11 მაისის მოხეს კომისიის გადაწყვეტილებით მოხეს სადავო ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს გადაეცა. ეს გადაწყვეტილება უარყოფითად შეაფასეს მუსლიმებმა. ***„თუ სახელმწიფო ინერტულია და ვერ აკეთებს დასკვნებს, არ უფრთხილდება ისტორიულ მემკვიდრეობას, უგულებელყოფს სომხური ეკლესიის ძველ სალოცავებს, სინაგოგებს, კათოლიკურ ეკლესიებს, არ უვლის, არ პატრონობს და მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიების მოვლით შემოიფარგლება, როგორ ფიქრობთ, ასეთ უსამართლო ქვეყანაში ჩვენს ქვეყანას განვითარების რა პერსპექტივა გააჩნია?“***, აღნიშნა ჭელას მეჩეთის იმამმა ჯამბულ აბულაძემ.[9] მუსლიმების დამოკიდებულება სახელმწიფოს პოლიტიკის და სახელწიფოს იდეის მიმართ ჩანს ამ პრობლემატურ საკითხებზე მათ

გამოხმაურებაში. მოხეს მეჩეთის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებს სამცხე-ჯავახეთის მუფთი და მოხის საკითხის კომისიის წევრი მამუკა ვაშაყმაძე: *„სიტყვიერად, კომისიის ყველა წევრი ამბობს, რომ შენობა მეჩეთს წარმოადგენს, მაგრამ ვფიქრობ მართლმადიდებელ ეკლესიას უწევენ ანგარიშს“.* [10]

მოხეს მეჩეთის დავაში შედარებით გვიან ჩაერთო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, მაგრამ მისმა პოზიციამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივ მრევლზე. ქრისტიანი მრევლის არგუმენტაცია ეკლესიის პიზიციით უფრო გამყარდა. ახალციხისა და ტაო–კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ განაცხადა: *„ეკლესიისთვის აბსოლიტურად მიუღებელია, რომ აღნიშნული შენობა გადაეცეს მუსლიმურ სამმართველოს, რადგან როგორც აღვნიშნე, აქ არასოდეს უმოქმედია მეჩეთს და ისტორიულად არის მონასტრის ნანგრევებზე აშენებული, ტაძრის ქვებით. რაც დღესაც ნათლად შეიმჩნევა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს დადასტურდება თუ მოხდება მისი არქეოლოგიური და საფუძვლიანი შესწავლა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ, რომ აღნიშნული შენობა გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს, რათა მან შემდგომ განკარგოს ეს შენობა“.*[11] ეკლესიის ასეთი განცხადება გავლენას ახდენს, როგორც რელიგიის საქმეთა სააგენტოს გადაწყვეტილებაზე, ასევე ადგილობრივი ქრისტიანი მრევლის დამოკიდებულებებზე.

მუსლიმი ლიდერების სურვილია, ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე მოხდეს მეჩეთის სადავოობის გადაწყვეტა. მუსლიმი თემის წარმომადგენლები სადავო საკითხებში ეფუძნებიან არა რელიგიურ და კერძო არგუმენტებს, არამედ მოიხმობენ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს და ითხოვენ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას: *„ხელისუფლებამ არ გადადგა სწორი ნაბიჯი. ეს*

დისკრიმინაციული მიდგომაა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მათ უფლება აქვთ, ილოცონ ისტორიულ მეჩეთში, თავისუფალ გარემოში."[12]

მამუკა ვაშაყმაძემ მუსლიმი თემის რეაქციაზე აღნიშნა, რომ მუსლიმები გონიერ გადაწყვეტილებას მიიღებენ, *„რომელიც დემოკრატიული ქვეყნისთვის იქნება აღსანიშნავი მთელს მსოფლიოში".*[13] ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე მიიჩნევს, რომ რელიგიის საქმეთა სააგენტოს ქმედება *„არასახელმწიფოებრივია რელიგიური უმცირესობების მიმართ"*[14] ჭელის მეჩეთის იმამი ჯამბულ აბულაძე მიიჩნევს, რომ ***„თუ სახელმწიფო არგუმენტირებულად ვერ დაადასტურებს, რატომ არ უნდა გადაეცეს მუსლიმ მრევლს აღნიშნული შენობა, მაშინ ეს იქნება მუსლიმების მისამართით მიზანმიმართული დისკრიმინაცია, რაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიულ პრინციპებთან.***"[15]

წინა წლებთან შედარებით, როდესაც მეჩეთის და რელიგიის თავისუფლების საკითხზე პასიურად ისმოდა მუსილიმების და მუსლიმთა ორგანიზაციების ხმები, დღეს რელიგიის თავისუფლების დაცვის საკითხს ისინი აქტიურად ეხმიანებიან. მუსლიმ თემში ჩანს მზაობა სადავო თემა ნეიტრალური მხარის მიერ იქნეს შეფასებული. *„კომპეტენტურმა ადამიანებმა ამ ძეგლის წარმომავლობა უნდა გამოიკვლიონ, დადონ დასკვნა, რომელსაც ყველა დაემორჩილება,"* აღნიშნავს შეიხი რამინ იგიდოვი მოხეს მეჩეთის საკითხთან დაკავშირებით.[16]

მიუხედავად მუსლიმი ლიდერების დემოკრატიის, ადამიანის უფლებებზე აპელირებისა, მოხეს მეჩეთის საკითხი მუსლიმების აზრით, მათ სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. მოხეს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო შეისყიდის იმ შენობას,

რომელშიც მუსლიმები აქამდე ლოცულობდნენ და მას გადასცემს მუსლიმებს ან სახელმწიფო სოფელ მოხეში შეისყიდის მიწას და იმ მიწაზე მუსლიმებს აუშენებს სალოცავს.[17] აქედან გამომდინარე კომისია მოხეს მეჩეთს „როგორც მეჩეთს არ აღიარებს“. მუსლიმები ამაში ხედავენ „სახელმწიფოს ძალადობას“, მიკერძოებულობას და აღარ ენდობიან მოხეს კომისიას. სოფელ ჭელის მეჩეთის იმამი ჯამბულ აბულაძე ამ გადაწვეტილების შესახებ აღნიშნავს, რომ 21-ე საუკუნეში ყველა საშუალება არსებობს, რომ 2 წლის განმავლობაში აღნიშნული შენობა გამოკვლეულიყო. მისი აზრით, ასეთი კველვის შემდეგ ყველასთვის ნათელი იქნებოდა პასუხი და უფრო სამართლიანიც იქნებდა გადაწყვეტილება.[18] რაც შეეხება საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას, როგორც ახალციხისა და ტაო–კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე ამბობს, ეს გაწყვეტილება მათთვის მისაღებია.[19]

ბათუმში ახალი მეჩეთის „არაშენების“ პოლიტიკა

ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების საკითხი 90-იანი წლებიდან დღემდე აქტუალობას არ კარგავს. ამ საკითხს რელიგიურთან ერთად პოლიტიკური განზომილებაც აქვს. ბოლო წლებში მეჩეთის თემის წინ წამოწევის შემდეგ უფრო გამოვლინდა საზოგადოებაში არსებული ისლამოფობია, სახელმწიფოს სეკულარიზმის პრობლემატიკა, რელიგიის თავისუფლების დაცვის და აღიარების პრობლემა. როგორც წესი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, პარტიები, წინასაარჩევნოდ მუსლიმებს პირდებიან ახალი მეჩეთის მშენებლობის ლობირებას. თუმცა მეჩეთის აშენებისთვის პოლიტიკური ნება წინსაარჩევნო პერიოდს არ ცდება და მოგვიანებით ღიად საუბრობენ რომ ახალი მეჩეთი ვერ აშენდება.

პირველად ახალი მეჩეთის თემამ ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა 2009 წელს. საქართველოსა და თურქეთს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომლის მიხედვით რესტავრაცია უნდა ჩატარებოდა დღეს თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართული კულტურული მემკვიდრეობის 4 ძეგლს (ოშკი, ხანძთა, ოთხთა და იშხანი). სანაცვლოდ საქართველოში რესტავრირებული იქნებოდა 4 ოსმალური პერიოდის მეჩეთი, რომელიც ასევე წარმოადგენს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. მეჩეთებიდან 3 უნდა აღდგენილიყო, ხოლო ერთი (ე.წ. აზიზიეს მეჩეთი) უნდა აშენებულიყო ბათუმში. მოლაპარაკებები საპატრიარქოს წინააღმდეგობის გამო შეწყდა. ხელოვნებათმცოდნეები მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები, რადგან ძეგლები თურქეთის ტერიტორიაზე საფრთხეში იყო. თუმცა 2011 წელს განახლებული მოლაპარაკებები ისევ შეფერხდა, რადგან საქართველოს საპატრიარქომ ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩართვა მოითხოვა. მოვლენების ასეთი განვითარების დროს აჭარაში გაიმართა საპროტესტო აქცია მეჩეთის აღდგენის წინააღმდეგ. აქციას მხარს უჭერდნენ სასულიერო პირები. ამ საკითხთან დაკავშირებით 2011 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ *„ვინც ამბობს, რომ მეჩეთი არ უნდა აშენდეს, ცდება. ჩვენ ამით პირდაპირ ვეუბნებით ხულოელ და მარნეულელ მუსულმანებს, რომ საქართველოში მათი ადგილი არ არის. (...) თუ ჩვენ გვინდა გვქონდეს სახელმწიფო, იაფფასიან დემაგოგიას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საქართველო ეკუთვნის ყველას. ეს არ არის რელიგიური საკითხი. ეს პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის საკითხია“*.[20] პრეზიდენტის ეს განცხადება მნიშვენლოვანი იყო მუსულიმი აჭარლებისთვის. თუმცა, მეჩეთის აშენება ამის გამო რეალისტური არ გახდა. ახალი მეჩეთის „ვერაშენების საკითხი“ მთავრობის შეცვლის შემდეგაც გაგრძელდა. 2016 წელს

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გადაცემაში „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“, განაცხადა რომ მზად არის დააფინანსოს ბათუმში მეჩეთის მშენებლობა.[21]

2016 წლის ივნისში დაარსდა „ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“. მუსლიმებმა შემოწირულობებით შეიძინეს მიწის ნაკვეთი ბათუმში. ბათუმის მერიამ 2017 წლის 5 მაისს ა(ა)იპ „ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ 2017 წლის 8 თებერვლის განცხადება მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე არ დააკმაყოფილა.[22] „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფისა“ და „ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე ამ გადაწტყვეტილებას დემოკრატიის უგელებელყოფად მიიჩნევს: ***„ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ამით ხელისუფლებამ დაადასტურა რელიგიური უმცირესობის მიმართ არასწორი მიდგომა. ხელმოწერილი დოკუმენტი გამომიგზავნა, რომ ჩვენ საქართველოში მცხოვრები მუსლიმების 10 პროცენტი არ გვაინტერესებს“***.[23]

მუსლიმები გადაწყვეტილების გასაჩვრებას და ბათუმში მეჩეთის მშენებლობისთვის სამართლებრივი გზით ბრძოლას აპირებენ. მეჩეთის მშენებლობლის საინიციატივო ჯგუფი მეჩეთის მშენებლობას არც თავდაპირველად გამოცხადებულ ცენტრალურ ადგილზე, არც თურქეთის დაფინანსების მონაწილეობით არ აპირებს, ქრისტიანი თანამოქალაქეები მშენებლობას ეწინააღმდეგებიან. დაძაბულობა და ანტაგონიზმი იზრდება ორივე მხარეს, მუსლიმები იმდეგაცრუებულები არიან, მეჩეთის მოწინააღმდეგეებში იზრდება რადიკალური და ქსენოფობიური განწყობები.

როგორც უკვე აღინიშნა, მუსლიმების გააქტიურება საკუთარი უფლებების დაცვისათვის ახალი ტენდენციაა სამოქალაქო საზოგადოებაში. რელიგიის თავისუფლების დაცვას, სახელმწიფოს მხრიდან მიუკერძოებელ, კანონზე დაფუძნებული მიდგომის მოთხოვნას მუსლიმების მხრიდან ყველაზე აქტიურად აჭარაში ვხვდებით. აქ ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც მუსლიმი სასულიერო პირებიც არიან გაერთიანებული. მათი ხმა ისმის მედიაში, სოციალურ ქსელებში, მონაწილეობენ საჯარო დებატებში. მათი აქტივობის მთავარი მიზანია მუსლიმების საჭიროებების გაზიარება საზოგადოებისთვის, მთავრობის წარმომადგენლებისთვის, მუსლიმთა უფლებების დაცვა.[24] მუსლიმთა ორგანიზაციის წარმომადგენელი წარმოადგენს უკვე სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ დამოუკიდებელ აქტორს. განსხვავებით, სრულიად საქართველოს სამუფთოს წარმომადგენლების განცხადებებს უფრო კონიუნქტურული ელფერი აქვს. მათ განცხადებებში ჩანს სახელმწიფოს „სიახლოვე“ და მთავრობის პოლიტიკის უკრიტიკოდ აღიარება და მისი გახმოვანება. ამიტომ ხშირად მუსლიმები როგორც აჭარაში, ასევე სხვა რეგიონში აკრიტიკებენ სამმართველოს. მუსლიმებს ნაკლები ნდობა აქვთ სამმართველოსა და რელიგიის საკითხთა სააგენტოს მიმართ. მათ თვალში ეს ორგანიზაციები არ წარმოადგენენ მუსლიმთა უფლებების დამცველ და მათ პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებს. ტარიელ ნაკაიძის აზრით, *„2014 წელს მისი ხელდასხმით სერიოზული შეცდომა დაუშვა მუსლიმთა სამმართველომ, როდესაც მეჩეთის სანაცვლოდ რეზიდენციების მშენებლობა/გადმოცემა მოითხოვა. ის (იგულისხმება ზაზა ვაშაყმაძე) ამბობს, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობა არის ვიღაცის ახირება და არა რეალური საჭიროება, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ვერ მიაწვდის პრემიერს სწორ ინფორმაციას.“*[25] ეს განწყობები

ერთგვარად აძლიერებს მუსლიმების სამოქალაქო აქტივიზმს: ერთი მხრივ ისინი ცდილობენ დაცული იყოს მათი უფლებები, კერძოდ რელიგიის თავისუფლება, მეორე მხრივ, არ მოხდეს ისლამის დისკრედიტაცია და მისი ტერორიზმთან და რადიკალიზმთან გაიგივება.

90-იანებიდან დღემდე მეჩეთის საკითხი აშენების მოწინააღმდეგეთა შიშის, პოლიტიკური სისუსტის ან პოლიტიკური ნების გამო გადაუჭრელი რჩება. თუმცა, ეს საკითხი ისევ რჩება პოლიტიკური თამაშის ნაწილი და წინასაარჩევნოდ პოლიტიკური დაპირებების რესურსი. ქრისტიანი და მუსლიმი აჭარლები მეჩეთის არაშენების ერთიდაიგივე მიზეზს ხედავენ, რომ მთავრობა **„ვერ გაბედავს დათანხმდეს მეჩეთის აშენებაზე, რადგან ეშინია ქრიტიანები არ აუჯანყდნენ.**“[26] დღეს ბათუმის „ორთა ჯამეს“ მეჩეთის სივრცე ვერ იტევს მლოცველებს, რის გამოც პარასკევის ტრადიციულ ჯუმას ლოცვას მორწმუნეები ქუჩაში აღასრულებენ.

დუისის „ახალი მეჩეთი“ - რელიგიური და სოციალური ცენტრი

90-იანი წლებიდან პანკისის ხეობა არაერთხელ მოხვდა მსოფლიო მედიისა და პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრში. „პანკისი“, „ჩეჩნები“, „ქისტები“ ხშირად მოიხსენებოდა რუსეთ-ჩეჩნეთისა და ერაყის ომების დროს მედიაში და საზოგადოებაში. 2014 წლიდან კი პანკისის ხეობის სახელი ახალ კონტექსტში გახდა აქტუალური. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაეშის რიგებში იბრძოდა პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ სამოქალაქო ომის და ეთნიკური კონფლიქტების ფონზე საქართველოს ხელისუფლებას ერთგვარად „დავიწყებული“

ჰქონდა ეს მხარე. მოგვიანებით პანკისში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი გახდა გლობალური უსაფრთხოების, რუსეთ-საქართველოს, საქართველო-აშშ-ს ურთიერთობის კონტექსტის გათვალისწინებით უსაფრთხო გარემოს შექმნა. მიკრო დონეზე ხეობა ისევ იზოლირებული დარჩა. ქისტების ინტეგრაცია და მათი ლოიალობა სახელმწიფოს მიმართ ისტორიული მოცემულობით და ინერციით გრძელდებოდა, მაგრამ ის თანამედროვე გამოწვევებს ვეღარ უმკლავდება. ეს ფაქტორი 2012 წლამდეც და შემდეგაც არცერთ მთავრობას არ გაუთვალისწინებია.

90-იან წლებში ეკონომიკური სიდუხჭირის გადასალახად მრავალი ქისტი მიდიოდა სამუშაოდ რუსეთში (ჩეჩნეთში), სადაც პანკისელი ქისტები უშუალოდ ჩაერთვნენ იქ მიმდინარე რელიგიურ პროცესებში. ჩრდილოეთ კავკასიაში 90–იანი წლებიდან ღია დაპირისპირებაა ე.წ. „სუფთა ისლამის“ (სალაფიზმის/ვაჰაბიზმის) და სუფიური, ე.წ. ტრადიციული ისლამის მიმდევრებს შორის. ეს სურათი მალე პანკისის ხეობაში გამეორდა. ტრადიციულად პანკისელ ქისტებში გავრცელებული იყო ე.წ. „ტრადიციული ისლამი“ – მიურიდიზმი (სუფიზმი).[27] თუმცა ქისტების რელიგიურობა სინკრეტული იყო, რაც გამოიხატებოდა ისლამის, ხალხური ქრისტიანობისა და წარმართული რწმენა-წარმოდგენების ერთობაში. რელიგიური ველი პანკისში სრულიად იცვლება საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში. ტრადიციული რელიგიური ფორმები (სუფიზმი, ქუნთ-ჰაჯის მიმდევრობა) სუსტდება, ვრცელდება ახალი სარწმუნოებრივი იდეები, სალაფიზმი, იზრდება რელიგიური პრაქტიკა. სალაფიზმის შემოსვლამ შეარყია აქ არსებული ადათ-წესები. სალაფიზმი უარყოფს ხალხურ ტარდიციებს, წმინდანების თაყვანისცემას, სუფიზმს. სალაფიზმი პოპულარული ხდება რუსეთ-ჩეჩნეთის II ომის შემდეგ, როდესაც ხეობაში ჩამოვიდნენ ჩეჩენი ლტოლვილები.

მოგვიანებით სალაფიზმის გავრცელებას ხელს უწყობდა საუდის არაბეთში, სირიაში განათლებამიღებული თეოლოგების (ქისტების) დაბრუნება ხეობაში და მათი ავტორიტეტის ზრდა ახალგაზრდებში. ისინი თეოლოგიური (სალაფიტური) პერსპექტივიდან აკრიტიკებენ პანკისში გავრცელებულ ტრადიციულ რელიგიურ პრაქტიკას. ისინი ცდილობდნენ ქისტების მოქცევას „სუფთა" რელიგიაზე. „ტრადიციული ისლამი" სალაფიზმის მიმდევრებს სექტად მიიჩნევენ, თავის მხრივ, სალაფიზმის მიმდევართათვის „ტრადიციული ისლამი" (მიურიდიზმი) არის სექტა. სალაფიზმის მიმდევრებმა მისიონერების (საუდის არაბეთიდან) ხელშეწყობით ააშენეს მეჩეთები დუისში, ომალოსა და ბირკიანში. რომელთაც ყოველდღიურობაში ზოგი „ვაჰაბიტურს", ზოგიერთი უბრალოდ „ახალ" მეჩეთს ეძახის. პანკისში რელიგიური ტრანსფორმაცია გამოიხატება რელიგიური პრაქტიკის, კონსერვატული რელიგიური შეხედულებების აღმავლობით. ქისტებში ძალიან მაღალია სოლიდარობის განცდა ყველა ჩეჩენის მიმართ, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. მორმუენრ ქისტები სხვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც მუსლიმებს ეხებათ, როგორც პირადულს, ისე განიცდიან.

სოფელი დუისი ყველაზე დიდი თემია პანკისის ხეობაში. ამ თემში მიმდინარეობს ასევე ყველაზე ინტენსიურად რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური პროცესები. სოფელ დუისში თავს იყრიან ე.წ. ახალი მეჩეთის და ტრადიუციული მეჩეთის მლოცველები. ახალი მეჩეთი ხეობაში წარმოადგენს არამხოლოდ რელიგიურ, არამედ სოციალურ ცენტრსაც. რელიგიური ლიდერები თავინთ ქადაგებებში და განცხადებებშიც ყურადღებას ამახვილებენ თუ რა სოციალური ზეგავლენა მოახდინა ისლამმა (სალაფიზმმა) ხეობაში. კერძოდ, ნარკომანიის, ქურდობის და ზოგადად კრიმინალის შემცირებაზე. სოფ. დუისის მეჩეთის და მისი იმამის მაგალითზე, ყურადღებას

გავამხვილებთ სალაფიტურ თემში მუსლიმი ლიდერების შეხედულებებზე რადიკალიზმზე, პლურალიზმზე და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებზე.

2014 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება და მას ახალი მუხლები დაემატა. კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქის მონაწილეობა სხვა ქვეყნის უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებში, ტერორისტული ორგანიზაციების წევრობა, ძალადობისა და შუღლის გაღვივებისაკენ მოწოდება სისხლის სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება და დასჯადი გახდა.[28] 2015 წლის 14 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა მასშტაბური სპეცოპერაცია და დააკავა აიუფ ბორჩაშვილი, რომელსაც ბრალი ედება ხეობაში ახალგაზრდების რეკრუტირებასა და სირიაში გადაყვანაში.[29]

რაც შეეხება, ქისტებში „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ბრძოლას, მას შეიძლება მრავალი მიზეზი ჰქონდეს და ის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. რადიკალიზაციის მიზეზებად შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც მსოფლიოში ისლამური ნეოფუნდამენტალიზმის გავრცლება და მისი გამოძახილი პანკისში, ასევე რეაქცია ლოკალურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისზე, რუსთის ფაქტორი, როდესაც “საღვთო ომი” მათთვის რუსთთან ომად მოიაზრება. 2015-2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ის, ვინც „მოხიბლულია“ გლობალური ჯიჰადით, დაეშით, უფრო დაშორებულია ადგილობრივ კულტურულ და რელიგიურ ერთობას (იქნება ეს სალაფიზმი თუ მიურიდიზმი).[30] ისლამური რადიკალიზმი არ არის დომინანტური ტენდენცია და არ არის პირდაპირ კავშირში ხეობაში სალაფიზმის აღმავლობასთან.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ მას შემდეგ რაც პანკისი საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებისა და მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, ხეობაზე ხშირად ცალმხრივი ან სტერეოტიპული სურათი იხატებოდა. სალაფიტური თემი ცდილობს გამოეხმაუროს ხეობაში მიმდინარე მოვლენებს. სოფელ დუისის ე.წ. ახალი მეჩეთის იმამს, რომელსაც პანკისის ხეობის იმამსაც უწოდებენ, ბექხან ფარეულიძეს შექმნილი აქვს სოციალურ ქსელში გვერდი „პანკისის იმამის პრესცენტრი“, სამენოვანი ვებ-გვერდი „პანკისის ხეობის იმამი“. [31] ქისტები ცდილობენ წარმოაჩინონ უშუალოდ სალაფიტური თემის პოზიცია კონკრეტულ საკითხებზე და სოციალური ქსელით ავრცელებენ სპეციალურ განცხადებებს.

2017 წლის 22 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ ჯოყოლოში მშენებარე ეკლესია დაანგრიეს. უფრო დაზუსტებული ინფორმაციით კი, ეს იყო წმინდა გიორგის სახელობის პატარა ნიში. მომხდარის გამო 28 აპრილს ახმეტაში გაიმართა საპროტესტო აქცია. ამ ფაქტს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა სალაფიტური მეჩეთის იმამი ბექხან ფარეულიძე: ***“ჩვენი რელიგია კრძალავს სხვა რელიგიური საკულტო ნაგებობების დანგრევას და, შესაბამისად, როგორც მუსლიმები, ჩვენ არანაირად არ მოვიწონებთ რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფას.“[32]*** იმამი პერიოდულად ეხმიანება სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს. პირველ რიგში, ეს არის მცდელობა, სალაფიტების სახელი არ დაუკავშირდეს რადიკალიზმს და აგრესიას, ამიტომ მის განცხადებებში რელიგიის სოციალური ფუნქციია წინ წამოწეული: *„თუ ვინმეს აინტერესებს, შეუძლიათ იხილონ, რა როლი ითამაშეს სალაფიტებმა პანკისში მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოფხვრაში. ხალხს იტაცებდნენ, ყიდიდნენ ნარკოტიკებს და ჩადიოდნენ მკვლელობებს. დღეს ვერ იპოვით ვერცერთ ადამიანს, ვინც ყიდის ან ყიდულობს ნარკოტიკს; ძალიან რთულია მათი პოვნა, ვინც სვამს ან ქუჩაში ეწევა.*

რა თქმა უნდა, ასეთები არიან, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ადრე. თქვენ ვერ გაიგებთ, რომ ვინმემ ცოლი მოკლა ან ზიანი მიაყენა ოჯახს. სახალხო დამცველმაც კი თქვა, რომ ხეობაში არ დაფიქსირებულა ოჯახში ძალადობის არცერთი შემთხვევა. უბრალოდ შეხედეთ იმას, რაც მეზობელ ქალაქებსა და სოფლებში ხდება - პანკისს რეგიონში უკეთესი მაჩვენებლები აქვს.“ [33]

2017 წლის 3 იანვარს უცნობმა პირებმა დააზიანეს და ცეცხლი წაუკიდეს სოფელ დუისის კულტურის სახლს, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდის ოფისი მდებარეობს.[34] მედიაში ამ ინფორმაციის გაშუქების დროს აღინიშნა სალაფიტების შესაძლო მონაწილოებაზეც. ამ საკითხს მაშინვე გამოეხმაურა პანკისის იმამი ბექხან ფარეულიძე და განცხადება: *„ჩვენ წლების განმავლობაში ვმუშაობდით იმისთვის, რომ პანკისის ხეობაში დანაშაული და კრიმინალი აღკვეთილიყო, ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ გუშინ განვითარებული მოვლენების შემდეგ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე,* ***პანკისელი მუსლიმების ეჭვმიტანილებად და სავარაუდო დამნაშავეებად გამოცხადება გვიჩენს კითხვებს და გვიტოვებს შთაბეჭდილებას რომ ეს სწორედ ისლამის და მუსლიმი ხალხის დისკრედიტაციის სურვილით ჩადენილი ქმედებაა.*** *მომხდარი ფაქტის შედეგად თუ ვინმე აღმოჩნდა წაგებული ეს არც საზოგადოებრივი ცენტრია, რომელიც საბედნიეროდ არ დამწვარა და არც კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი, რადგან თუ მეტი მხარდამჭერი და გულშემატკივარი არ გაუჩნდა, საბედნიეროდ ზარალი არ მიუღია ამ ორგანიზაციას არც რეალური დამნაშავეა დაზარალებული, რომლის ვინაობაც ჯერ არ გამჟღავნებულა, თუმცა მოახერხეს და ჩირქი მოსცხეს ხეობის მუსლიმებს, გრძელდება მუსლიმების მიზანმიმართული დისკრედიტაცია.“*[35] თავის განცხადებაში იმამმა ისაუბრა იმ საკითხებზე, რომელიც პერიოდულად ჩნდება სალაფიტური თემის მიმართ. თუ აქამდე ეს საკითხები ჟურნალისტების და პოლიტიკოსების ვარაუდებზე იყო დაყრდნობილი, ახლა მასზე უშუალოდ თემის

წარმომადგენლები საუბრობენ: *„რაც შეეხება ქალთა უფლებებს,* ***ისლამი და პანკისელი მუსლიმები დგანან ქალთა უფლებების და ქალთა კეთილდღეობის სადარაჯოზე, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია ტელევიზიით გაჟღერებული განცხადებები, თითქოს მუსლიმებს ქალთა უფლებების საკითხი გვაღიზიანებს.*** *ამის ნათელი მაგალითი იყო ჩვენი სულიერი ლიდერის, აბდულ-ქერიმ ქავთარაშვილის მიერ ჩატარებული ლექცია ქალთა უფლებების საკითხზე, ეს სწორედ ამ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა. ჩვენ კი არ გვაღიზიანებს ეს თემა, პირიქით, ფონდის მიერ სურვილის გამოხატვის შემთხვევაში ვთანამშრომლობთ კიდეც ამ საკითხებში. მართალია,* ***ისლამის სწავლების მიხედვით ცეკვა და სიმღერა არ არის მიღებული, თუმცა ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებთ მსგავს რადიკალურ ქმედებებს, არც გაგვიმართლებია.“***[36]

სალაფიტური ისლამის წარმომადგენლების გააქტიურება, კერძოდ კონკრეტულ ფაქტებზე გამოხმაურება, ერთგვარად ხელს უწყობს მათ შესახებ ცოდნის გაზრდას, მათი დამოკიდებულებების და ზოგადადა პანკისის საკითხის უკეთესად შესწავლას. ბექხან ფარეულიძის ინტერვიუში, რომელიც იმამის ოფიციალურ გვერდზეა გამოქვეყნებული, ვკითხულობთ: *„მხოლოდ ერთ წყაროს ნუ ენდობით, უკეთესი იქნება, ყველა ჯგუფთან თუ ექნებათ შეხვედრები და მერე მიიღებენ გადაწყვეტილებებს. არსებული სიტუაცია უფრო სოციალური პრობლემებია, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებს აქვთ,* ***ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც ჩვენთან დგას და შეიძლება მუშაობა, განათლების, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ეს ძალიან საჭიროა ჩვენთვის. ძალიან კარგი იქნებოდა, რეალურად არსებული პრობლემების მოგვარებისთვის ყოფილიყო მუშაობა. რადიკალიზმი, ვაჰაბიზმი და მსგავსი სახის პრობლემა ჩვენთან არ დგას და, რა თქმა უნდა, ჩვენ თავად არ ვართ რადიკალიზმის მომხრეები.*** “[37]

სოციალური ქსელი და ზოგადად ინტერნეტი, შესაძლებლობას აძლევს პანკისის სალაფიტურ თემს გაავრცელონ ალტერნატიული ინფორმაცია საკუთარი პრობლემების, რელიგიური შეხედულებების და ზოგადად პანკისის შესახებ. ამ ინფორმაციაში ჩანს მათი მცდელობა, მოახდინონ პანკისზე, ისლამზე სტერეოტიპული წარმოდგენის დეკონსტრუქცია.[38]

დასკვნა

ბოლო წლებში რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში განსაკუთრებით გამოიკვეთა მუსლიმების უფლებების და თავისუფლების დაცვის პრობლემატიკა. ხშირად ეს თემები ანტი-ისლამური, თურქოფობიის გაღვივების და პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტია. მაგალითად, აჭარაში ახალი მეჩეთის მშენებლობას ადვილად იყენებენ თურქეთის ან მუსლიმის მტრის ხატის შესაქმნელად. მეჩეთს მოიხსენიებენ ხოლმე როგორც „ოსმალეთის ბატონობის სიმბოლოს“ ან „თურქების ფულით აშენებულს“. „თურქებს უნდათ იქ ილოცონ“, „რატომ უნდა იყოს ქრისტიანულ სახელმწიფოში მეჩეთი“, „ორასამდე მეჩეთია უკვე, თურქეთი აფინანსებს“ - ასეთია ქრისტიანი მრევლის დამოკიდებულება მეჩეთის მშენებლობაზე. ახალი მეჩეთის „არაშენების“ თემა გამოხატავს არამხოლოდ რელიგიური ნაციონალიზმის პრობლემატიკას, არამედ სახელწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევას. თუ როგორ გავლენას ახდენს ეკლესიის აზრი და საზოგადოებრივი განწყობები ადამიანის უფლებების დაცვაზე და სახელმწიფოს ნეიტრალურობაზე, ეს ჩანს მოხეს მეჩეთის შემთხვევაში. იმ ნაგებობის მესაკუთრის დადგენა, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა რელიგიურ ერთობას ეკუთვნოდა, ყოველთვის რთული გადასაჭრელი პრობლემაა სახელმწიფოსთვის. ასეთი

საკითხების გადაჭრა იურისტებთან ერთად მეცნიერების და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის თანამონაწილეობას მოითხოვს. მოხეს შემთხვევაში ჩანს, რომ სახელმწიფო არ არის დაინტერესებული შეისწავლონ მოხეს მეჩეთის ისტორიული და კულტურული სტატუსი, სათანადოდ არ შეფასდა რელიგიური კონფლიქტის პრევენციის აუცილებლობა. კონფლიქტის რეგულირების პროცესში გამოჩნდა სახელმწიფოს პასიურობა და არანეიტრალურობა. ორივე მეჩეთის (ბათუმის და მოხეს) რელიგიის თავისუფლების დასაცვად სახელმწიფოს პასიურ როლში, შეგვიძლია ამოვიკითხოთ ამ საკითხებში საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის აზრის დომინანტურობა. პოლიტიკოსები ცდილობენ „ეკლესია არ გაანაწყენონ“ და თვალი დახუჭონ მუსლიმების დისკრიმინაციაზე.

პანკისის სალაფუტური თემის პრობლემატიკას პირობითად ვუწოდეთ „დუისის ახალი მეჩეთის“ ისტორია. აქ ჩანს რომ ლოკალური რელიგიური კულტურა გლობალურ ისლამსა და პოლიტიკურ მოვლენებთან გადაჯაჭვულია. ოფიციალურ განცხადებებში და არსებული კვლევის საფუძველზე მუსლიმი ლიდერები ემიჯნებიან რადიკალიზმს. პანკისის იმამი ბექხან ფარეულიძის სიტყვებში ჩანს კონსერვატული რელიგიური შეხედულება და ამავდროულად ის მიჯნაც სადამდეც ეს რელიგიური აზრი ვრცელდება. კერძოდ, ხეობაში მომხდარ რამდენიმე ინციდენტთან დაკავშირებით იმამი ამბობს, რომ *„მართალია, ისლამის სწავლების მიხედვით ცეკვა და სიმღერა არ არის მიღებული, თუმცა ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებთ მსგავსს რადიკალურ ქმედებებს, არც გაგვიმართლებია.“*[39] უმრავლესობა სალაფიტი ქისტებისა მშვიდ, პასიურ რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური მიზნები. მათთვის მნიშვნელოვანია რელიგიური რეფორმა, რაშიც იგულისხმება არა ისლამის განახლება,

არამედ ისლამის სათავეებთან დაბრუნება და „სუფთა ისლამის“ აღიარება. დღეს რელიგიურ ლიდერებს ხეობაში აქვთ რელიგიური ცოდნის, „საზოგადოებაში სწორი ღირებულების“ დამკვიდრების პრეტენზია. სალაფიზმმა პანკისში შეიძლება მომავალშიც შეინარჩუნოს კონსერვატულობა, მაგრამ არ მოხდეს მისი პოლიტიზირება. თუმცა სანამ იარსებებს დაეშის საფრთხე, ყოველთვის იქნება რისკი იმისა, რომ რომელიმე მუსლიმი შეეცდება საკუთარი თავის რეალიზაციას „ისლამურ სახელმწიფოში“. სახელმწიფოს სწორი პოლიტიკით ეს რისკი შეიძლება მკვეთრად შემცირდეს. ისევე როგორც, არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება გახდეს ხეობაში რადიკალური მობილიზაციის მიზეზი. ქისტები გამოირჩევიან სახელმწიფოსადმი ლოიალობით, ინტეგრაციის მაღალი დონით. სალაფიტური რელიგიური ლიდერების გამოხმაურება რადიკალიზმის, ადგილობრივი თემის საკითხებზე ახალი ტენდენციაა ხეობაში. მათი აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ დებატებში ხელს უწყობს ქისტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას. ქისტების აქტიურობა და „დუმილის წრის გარღვევა“, როგორც თავად ამბობენ, დაიცავს მომავალში თემს მარგინალიზაციისგან. რელიგიური ლიდერების საჯარო სივრცეში გააქტიურების მაგალითებია ბათუმში და მოხეში მეჩეთის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში. სიახლეა, რომ მუსლიმების უფლებების დაცვისთვის იბრძვის არამხოლოდ ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, არამედ თავად მუსლიმთა თემი. მათ მოთხოვნებს კი ძირითადად წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების, სახელმწიფოს ნეიტრალურობის და დემოკრატიის პრინციპების დაცვა.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წერეთლის გამზირი 72, 0154 თბილისი

Tel: +995 32 235 51 54, Fax: +995 32 235 57 54, E-mail: info@cipdd.org

---

[1] შუა საუკუნეების საქართველოში ყურანს ყორანად და მუსაფადაც მოიხსენიებდნენ. ძველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილია პოლემიკური ტრაქტატები, (არსენ იყალთოელი, ბაგრატ ბატონიშვილი და სხვ.), რომლებშიც გაკრიტიკებულია ყურანის ესა თუ ის დებულება და, ზოგ შემთხვევაში, რამდენიმე აიას თარგმანიცაა მოცემული, რაც ნიშნავს, რომ ქართველი ქრისტიანი სწავლულები ყურანის ტექსტს იცნობდნენ. ყურანი ორჯერაა ქართულად თარგმნილი: პეტრე მირიანაშვილის მიერ ფრანგულიდან(1906) და გიორგი ლობჟანიძის მიერ არაბულიდან კომენტარებითურთ(2006). ეს უკანასკნელი 2007 წელს ისლამოლოგიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ირანის უმაღლესი ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა.

[2] ეთნიკურად თურქული ტომების შთამომავლები სხვადასხვა დროს განსახლდნენ ამ ტერიტორიაზე. დღეს ისინი საკუთარ თავს აზერბაიჯანელებს უწოდებენ.

[3] დაეში - ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო/ ერაყისა და შამის/სირიის ისლამური სახელმწიფო

[4] ქართველებთან მათი ხანგრძლივი და მშვიდობიანი თანაარსებობა განპირობებული იყო ქართული ენის ცოდნით, კულტურული და ტრადიციული სიახლოვით და, რაღა თქმა უნდა, ორივე ხალხის ტოლერანტული ბუნებით.

[5] მუსლიმების თქმით, მეჩეთი სოფელ მოხეში 1927-34 წლებში მესხმა მუსლიმებმა ააშენეს, იხ. „სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების ანალიზი“, TDI, http://www.tdi.ge/ge/news/126-sopel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebis-analizi , ბოლო ნახვა 12.09.2017

[6] 2007 წლის 30 ოქტომბერს სოფელ მოხეს 22-მა მაცხოვრებელმა სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართა (#1653-07), რომელშიც აღნიშავდნენ, რომ მუსლიმებმა შენობის შემოღობვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეუთანხმებლად დაიწყეს, რასაც ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა.

[7] 2014 წლის 22 ოქტომბერს ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ნაგებობა ბიბლიოთეკად უნდა გადაეკეთებინა.

[8] „მკვლევარები: არცერთი წყაროდან არ დასტურდება, რომ მოხეში მეჩეთის ადგილას ნაეკლესიარი იყო“, გაზეთი *სამხრეთის კარიბჭე,* 15.10.2016, http://sknews.ge/index.php?newsid=10453 ბოლო ნახვა 12.09.2017

[9] „მოხის "სადავო ნაგებობა" კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გადასცეს“, *ნეტგაზეთი,* 11.05,2017, http://netgazeti.ge/news/193344/ 23.09.2017

[10] „ტარიელ ნაკაიძე: სახელმწიფომ თქვას, ეს შენობა ეკუთვნის მუსლიმებს, თუ არა“, *ბათუმელები,* 15.10.2016, http://batumelebi.netgazeti.ge/news/58988/#sthash.Jsb1PlTq.5FIOMI9g.dpbs ბოლო ნახვა 12.09.2018

[11] „მეუფე თეოდორე: მოვითხოვთ მოხეში არსებული შენობის საპატრიარქოსთვის გადაცემას“, *სამხრეთის კარიბჭე,* http://sknews.ge/index.php?newsid=4494 ბოლო ნახვა 12.09.2017

[12] ტარიელ ნაკაიძის ინტერვიუ http://liberali.ge/news/view/25706/tariel-nakaidze-mokhis-komisiis-gadatsyvetilebaze-sakhelmtsifo-dadzabulobis-keras-qmnis ბოლო ნ ა ხ ვ ა 12.11.201 7

[13] „სალოცავი ყველას, მაგრამ სადავო შენობა არავის“, *სამხრეთის კარიბჭე,* 03.11.2016, http://sknews.ge/index.php?newsid=10603

[14] „ტარიელ ნაკაიძე: სახელმწიფომ თქვას, ეს შენობა ეკუთვნის მუსლიმებს, თუ არა“, *ბათუმელები,* 15.10.2016, http://batumelebi.netgazeti.ge/news/58988/#sthash.Jsb1PlTq.5FIOMI9g.dpbs ბოლო ნახვა 12.09.2018

[15] „ჭელის მეჩეთის წინამძღვარი: მოხის კომისიამ დასაბუთების გარეშე უარი უთხრა მუსლიმ მრევლს“, *ნეტგაზეთი,* 04.11.2016, http://netgazeti.ge/news/152478/ ბოლო ნახვა 12.09.2017

[16] „რელიგიის სააგენტოს დამცველების შეკრება EMC-ის კრიტიკის პასუხად“, *ნეტგაზეთი,* 14.12.2016, http://netgazeti.ge/news/161683/ ბოლო ნახვა 12.09.2017

[17] „მოხეს სადავო შენობის შესახებ კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო“, 03.11.2016, *სამხრეთის კარიბჭე,* http://sknews.ge/index.php?newsid=10596 ბოლო ნახვა 12.09.2017

[18] „მოხის "სადავო ნაგებობა" კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გადასცეს“, *ნეტგაზეთი,* 11.05,2017, http://netgazeti.ge/news/193344/ ბოლო ნახვა 12.09.2017

[19] „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს განცხადება მოხეს კომისიის დასკვნაზე“, *სამხრეთის კარიბჭე,* 03.11.2017, http://sknews.ge/index.php?newsid=10600 ბოლო ნახვა 14.11.2017

[20] „ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია მოეწყო“, ჟურნალი *ტაბულა*, 24 .03. 2011, http://www.tabula.ge/ge/story/54141-batumshi-azizes-mechetis-aghdgenis-tsinaaghmdeg-saprotesto-aqcia-moetsko last access: 13.07.2017 ბოლო ნახვა 13.09.2017

[21] „ოცი მილიონიც რომ დაჯდეს მზად ვარ ბათუმში მეჩეთის მშენობლობა დავაფინანსო - ბიძინა ივანიშვილი“, *ნიუპოსტი*, 09.01.2016, http://www.newposts.ge/?l=G&id=117773-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90 ბოლო ნახვა 12.09.2017

[22] მიზეზად დასახელდა, რომ აღნიშნული ტერიტორია საცხოვრებელი ზონაა, მეჩეთი კი წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და საჭიროებს დამატებით ფართს გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისთვის, რა მოთხოვნებსაც მიწის ნაკვეთი ვერ უზრუნველყოფს.

[23] ტარიელ ნაკაიძის განცხადება ახალი მეჩეთის მშენებლობაზე უარის თქმის მიღების შემდეგ. http://www.interpressnews.ge/ge/regioni/432106-tariel-nakaidze-bathumis-meria-abashidzis-quchaze-mechethis-msheneblobis-nebarthvas-ar-gvadzlevs.html?ar=A ბოლო ნახვა 12.09.2017

[24] ამის მაგალითია 2017 წელს ბათუმში გამართული კონფერენცია „თანამედროვეობა და ისლამი“. კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებისთვის ისლამის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება. სრულიად საქართველოს მუფთის მრჩეველი თემურ გორგაძე: *“თანამედროვე მსოფლიოში ისლამი აღიქმება ძალიან ცუდად, ძირითადად გაიგივებულია ტერორიზმთან, სიბრმავესთან, გაიგივებულია უვიცობასთან. ამიტომ მუსლიმთა სამმართველომ გადაწყვიტა, გაემართა კონფერენცია“ თანამედროვეობა და ისლამი” და შესაბამისი კომპეტენციის ადამიანების დახმარებით გაგვეანალიზებინა ის, თუ დღეს ისლამი და მუსლიმები რა მდგომარეობაში ვართ; რა ისტორიული წარსული და რა როლი გვქონდა საქართველოსთან მიმართებაში”,* http://www.ttimes.ge/archives/78841 ბოლო ნახვა 12.09.2017

[25] „რელიგიის სააგენტოს დამცველების შეკრება EMC-ის კრიტიკის პასუხად“, *ნეტგაზეთი*, 14.12.2016, http://netgazeti.ge/news/161683/ ბოლო ნახვა 12.09.2017

[26] Zviadadze, Sophie: „The Unbearable Lightness of Being Muslim and Georgian - Religious Transformation and Identity Question among Adjara’s Muslim Georgians“, *Region: Regional Studies of Russia, Eastern Europe, and Central Asia* (forthcoming in 2018)

[27] XIX საუკუნეში პანკისში დასახლებულ ქისტებში ტრადიციულად გავრცელებული იყო სუფიური ისლამი, ქუნთ-ჰაჯის მიმდევრობა (მიურიდიზმი), ხოლო შარიათი ნაწილობრივ ექვემდებარებოდა ტრადიციულ სამართალს.

[28] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 04.04.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2319468 ბოლო ნახვა 12.09.2017

[29] როგორც კვლევა აჩვენებს, საპარლამენტო უმრავლესობისა და სამინისტროს წარმომადგენლები ნაკლებად ფლობენ კომპეტენტურ ცოდნას რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ისინი რელიგიური რადიკალიზმისა და სირიაში ახალგაზრდების რეკრუტირების შემთხვევებს წინა ხელისუფლების პოლიტიკის შედეგებად მიიჩნევენ, ან რელიგიურ ფანატიზმს მიაწერენ, იხ. სოფო ზვიადაძე: ისლამი, პოლიტიკა და იდენტობა, თბილისი, 2016

[30] ხეობაში სირიაში წასვლის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა აქ: ა) რელიგიურ-იდეოლოგიური (მუსლიმების დახმარება, მუსლიმები იჩაგრებიან მსოფლიოში), რომლის წყარო ინტერნეტი და საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების შეხედულებებია. ამ უკანასკნელ ჯგუფში მაღალია გაუცხოება სეკულარულ საზოგადოებასთან და მეტი კავშირია რადიკალურ ჯგუფებთან; ბ) ფინანსური ინტერესი. დაეში თავის მომხრეებს ღიად ჰპირდება პრივილეგიებს, ფინანსურ კეთილდღეობას; გ) ადგილობრივ თემში მარგინალიზებული მდგომარეობა, წარუმატებლობა, კრიზისულობის განცდა; დ) ნაციონალური (სირიაში მებრძოლი ქისტებისთვის მტერი არის რუსეთი და ეს ბრძოლაც რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გაგრძელება). იხ. სოფო ზვიადაძე: ისლამი, პოლიტიკა და იდენტობა პანკისში, თბილისი, 2016 http://www.cipdd.org/upload/files/pankisi-web.pdf

[31] პანკისის იმამის განცხადება 15.10.2017 http://imam.pankisi.ge/?p=75 ბოლო ნახვა 22.10.2017

[32] პანკისის სალაფიტური თემის იმამი - "ისლამი კრძალავს საკულტო ნაგებობების დანგრევას", შაბათი, 29.04. 2017, *პანკისის სათემო რადიო,* https://radioway.ge/news/people/item/455-pankisis-salapituri-temis-imami-islami-krwalavs-sakulto-nagebobebis-dangrevas ბოლო ნახვა 12.09.2017

[33]ttp://radioway.ge/ka/news/people/item/316-pankisshi-radikalizazia-ar-aris-–-interviu-xeobis-salapituri-temis-imamtan ბოლო ნახვა 09.09.2017

[34] დუისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელსაც აფინანსებს კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი (KRDF). იგი დაარსდა 2008 წელს და აგრძლებს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ განხორციელებულ პროგრამებს (ლტოვლითა დახმარება, იურიდული კონსულტაცია, პროფესიული განათლების მიღება, უცხო ენების, კომპიუტერის შესწავლა). ფონდის საქმიანობა

ხორციელდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკი) ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული დაფინანსება შეიცავს მნიშვნელოვან კომპონენტს ევროკომისიის პროგრამიდან "მიგრაცია და თავშესაფარი", http://www.krdf.ge/

2015 წლიდან ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით მიმდინარეობდა რამდენიმე პროექტი, ძირითადად ეს არის ენის, კომპიუტერის შემსწავლელი, აბიტურიენტთა მოსამზადებელი და ცეკვის კურსები.

[35]http://radioway.ge/ka/news/people/item/285-pankisis-xeobis-imami-beqxan-pareuliwe-duisshi-momxdar-inzidents-gamoexmaura, „პანკისის იმამი: გრძელდება მუსლიმების მიზანმიმართული დისკრედიტაცია", ნეტგაზეთი, http://netgazeti.ge/news/165958/ ბოლო ნახვა 12.09.2017

[36] „პანკისის იმამი: გრძელდება მუსლიმების მიზანმიმართული დისკრედიტაცია", *ნეტგაზეთი,* 05.01.2017, http://netgazeti.ge/news/165958/ ბოლო ნახვა 12.09.2017

[37] პანკისის ხეობის სალაფიტების იმამი, ბექხან ფარეულიძე , OC Media-სთან, გამოქვეყნდა 27.01.2017 http://imam.pankisi.ge/?p=53#more-53 ბოლო ნახვა 12.09.2017

[38] ინტერნეტი ამბივალენტურ როლს ასრულებს და ამ შემთხვევაში „უსაზღვრო კავშირი" აადვილებს როგორც ცნობიერების ამაღლებას ასევე რადიკალური შეხედულებების ტრანსფერს თემში. მაშინ როდესაც ადგილზე შეიძლება არ იყოს რადიკალიზაციის მიზეზი, პოლიტიზირებულ და ჰიბრიდულ ისლამს შეუძლია გულშემატკივარი იპოვოს ისლამურ თემში.

[39] „პანკისის იმამი: გრძელდება მუსლიმების მიზანმიმართული დისკრედიტაცია", *ნეტგაზეთი,* 05.01.2017, http://netgazeti.ge/news/165958/ ბოლო ნახვა 12.09.2017

© სოფო ზვიადაძე

ფოტო: ბათუმის მეჩეთი „ორთა ჯამე"